

- 1 ▶ **კითხვა:** მე პასუხს ვაგებ იმაზე, თუ რას გადავცლაპავ, რას გავიკეთებ ნემსით ან რას წავისმევ ტანზე.
პასუხი: სიმართლეს შეესაბამება
განმარტება: ყველა სპორტსმენმა აქტიურად უნდა დასვას შეკითხვები იმისათვის, რომ საფრთხეში არ ჩაადგოს თავისი სპორტული კარიერა. თუ გაქვთ შეკითხვა – შეეკითხეთ! თუ 100%-ით არ ხართ დარწმუნებული შემცველობის შესახებ ან არ იცით ნივთიერების სტატუსი – არ მიიღოთ იგი!
-
- 2 ▶ **კითხვა:** მხოლოდ ის სპორტსმენები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ოლიმპიადაში, პარალიმპიურ თამაშებში და მსოფლიო ჩემპიონატებში, გაივლიან დოპინგის შემოწმებას.
პასუხი: არ შეესაბამება სიმართლეს
განმარტება: ბევრ ქვეყნებს და საერთაშორისო ფედერაციებს გააჩნიათ ანტი-დოპინგური პროგრამები. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ თქვენ ეკუთვნით ეროვნულ გუნდს, მაშინ თქვენ შეიძლება შეგამოწმონ ან შეჯიბრის დროს, ან არასაშეჯიბრო პერიოდში, ან თქვენს სახლში და ან სანვრთნელ ბაზაზე.
-
- 3 ▶ **კითხვა:** WADA ნიშნავს: მსოფლიო ანტი-დოპინგურ ადმინისტრაციას თუ მსოფლიო ანტი-დოპინგურ სააგენტოს?
პასუხი: მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტო
განმარტება: მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს, მოახდინოს კოორდინაცია და მონიტორინგი სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლის ყველანაირ ფორმას საერთაშორისო დონეზე.
-
- 4 ▶ **კითხვა:** თუ გარკვეული წამლის მიღება ნებადართულია ჩემს ქვეყანაში, შეიძლება თუ არა უცხოეთში ნაყიდი იგივე ფირმის პრეპარატის მიღება?
პასუხი: არ შეესაბამება სიმართლეს
განმარტება: ზოგიერთ პრეპარატს შეიძლება ჰქონდეს ოდნავ განსხვავებული შემცველობა სხვადასხვა ქვეყნებში. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს შეიძლება აკრძალული ნივთიერება იყოს. თუ არ ხართ დარწმუნებული, ყურადღებით უნდა შეამოწმოთ შემცველობა და მიიღოთ ექიმის რჩევა.
-
- 5 ▶ **კითხვა:** რა არის წელიწადში სპორტსმენის შემოწმების მაქსიმუმი რაოდენობა?
a. 2
b. 5
c. 20
d. შეუზღუდავი
პასუხი: d. შეუზღუდავი
განმარტება: არ არსებობს წელიწადში სპორტსმენის შემოწმების რაოდენობის ლიმიტი. აქ შედის შეჯიბრის დროს, არასაშეჯიბრო პერიოდში, შემთხვევითი ან გამიზნული შემოწმება.
-
- 6 ▶ **კითხვა:** შარდის ანალიზი აკრძალული ნივთიერებების ან მეთოდების აღმოსაჩენად შეიძლება ჩატარებული იყოს საჭირო აღჭურვილობის მქონე ნებისმიერი ლაბორატორიის მიერ?
პასუხი: არ შეესაბამება სიმართლეს
განმარტება: შარდის ანალიზი აკრძალული ნივთიერებების ან მეთოდების აღმოსაჩენად ტარდება მხოლოდ იმ ლაბორატორიებში, სადაც მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს (WADA-ს) მაღალი სტანდარტებია დაკმაყოფილებული და რომლებსაც აკრედიტირებული სტატუსი აქვთ მინიჭებული.
-
- 7 ▶ **კითხვა:** თუ საკვები დანამატი შექმნილი იქნა აფთიაქიდან (რეცეფტის გარეშე), მაშინ ეს სპორტში ნებადართულია.
პასუხი: არ შეესაბამება სიმართლეს
განმარტება: დანამატების მიღება და/ან ნებისმიერი ნივთიერების მიღება თქვენი რისკის ქვეშაა. ბევრი დანამატი შეიცავს აკრძალულ ნივთიერებებს. იმის გამო, რომ დანამატების ბაზარი ბევრ ქვეყანაში არ კონტროლდება, აუცილებელია მთლიანად დარწმუნებული იყოთ პროდუქტის ზუსტ შემცველობაში. რჩევა: თუ რაიმე განსაკუთრებით მაკლუნებლად უღერს, ალბათ ის აკრძალულია! დანამატების გამოყენების ალტერნატივას წარმოადგენს თქვენი კვებითი პროგრამის ადაპტაცია.

- 8 ▶ კითხვა:** როდესაც მე ავად ვარ, უფლება მაქვს მივიღო ნებისმიერი წამალი, რომელიც მე გამოჯანმრთელებაში დამეხმარება?
პასუხი: არ შეესაბამება სიმართლეს
განმარტება: თუ თქვენ გაცილებული ხართ, გაქვთ გრიპი, ან სასუნთქი გზების დაავადება, არ მიიღოთ წამალი ან ნივთიერება მანამ, სანამ არ შეამოწმებთ მასში აკრძალული ნივთიერების შემცველობას. აქ შედის ორივე, რეცეფტის გარეშე და რეცეფტით გამონერილი წამლები. დაიმახსოვრეთ, რომ დადებითი ტესტი, დადებითი ტესტია.
-
- 9 ▶ კითხვა:** შეიძლება მწვრთნელს ან ექიმს, რომელიც სპორტსმენს არ უშლის აკრძალული ნივთიერებების მიღებას, კანონით გათვალისწინებული სასჯელი მიეყენოს იმ შემთხვევაში, თუ სპორტსმენს დადებითი ტესტის შედეგი ექნება?
პასუხი: სიმართლეს შეესაბამება
განმარტება: სპორტსმენებისთვის აკრძალული ნივთიერებების მიღების ნაქვებია ან არ დაშლა ითვლება სერიოზული ანტი-დოპინგური წესის დარღვევად და კანონით გათვალისწინებული სასჯელის მიყენება განისაზღვრება მსოფლიოს ანტი-დოპინგური კოდექსის მიხედვით.
-
- 10 ▶ კითხვა:** დოპინგ კონტროლის ოფიცრებმა სპორტსმენებს შემოწმების ჩატარების განზრახვის შესახებ რამოდენიმე საათით ადრე უნდა შეატყობინონ.
პასუხი: არ შეესაბამება სიმართლეს
განმარტება: შემოწმების ჩატარების შესახებ შეტყობინება წინასწარ არ გაიგზავნება. ეს იმას ნიშნავს, რომ დოპინგ კონტროლის ოფიცრებს (DCOs) შეუძლიათ შემოწმება ჩაატარონ ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე, მაგრამ შემოწმების ჩატარებლებს მოეთხოვებათ კეთილგონიერების გამოჩენა იმისათვის, რათა არ გამოიწვიონ სპორტსმენების უხერხულ მდგომარეობაში ჩაგდება.
-
- 11 ▶ კითხვა:** როდესაც სინჯი შეგროვდება, მას პლომბი დაედება და ოქმი შეივსება, სინჯის გახსნის, დაბინძურების ან სხვაგვარი მანიპულაციის ნებისმიერი მცდელობა აშკარა იქნება?
პასუხი: სიმართლეს შეესაბამება
განმარტება: სპორტსმენი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ მათ სინჯზე მანიპულაცია არ მოხდება. ამისთან ერთად, ლაბორატორია ანალიზის გაკეთებამდე ნებისმიერ საეჭვო ფაქტს განაცხადებს.
-
- 12 ▶ კითხვა:** სპორტსმენს შეუძლია უარი თქვას დოპინგის შემოწმების გავლაზე თუ იგი ძალიან დაკავებულია?
პასუხი: არ შეესაბამება სიმართლეს
განმარტება: დოპინგის შემოწმებაზე უარის თქმის შემთხვევას იგივე დატვირთვა აქვს, როგორც დადებით ტესტს. თუ სპორტსმენი შეტყობინების დროს უარს იტყვის შემოწმების გავლაზე, მან შეტყობინების ფორმის მეშვეობით უნდა ახნას უარი და შეატყობინოს მის ხელმძღვანელ ორგანიზაციას რაც შეიძლება სწრაფად.
-
- 13 ▶ კითხვა:** მოთხოვნის შემთხვევაში ჩემს მწვრთნელს შეუძლია გამომყვეს დოპინგის შემოწმების სადგურში?
პასუხი: სიმართლეს შეესაბამება
განმარტება: ყოველ სპორტსმენს უფლება აქვს თან იყოს იქნას წარმომადგენელი დოპინგის შემოწმების სადგურში.
-
- 14 ▶ კითხვა:** მე აუცილებლად უნდა გამოვიყენო ჩემს მიერ არჩეული სინჯის შესაგროვებელი მოწყობილობა იმ შემთხვევაშიც, თუ ჩემი აზრით იგი დაბინძურებულია ან უსუფთაოდ გამოიყურება.
პასუხი: არ შეესაბამება სიმართლეს
განმარტება: თქვენ უნდა მოგეცეთ დალუქული სინჯის მოსაგროვებელი მოწყობილობის არჩევანი. თუ თქვენ არ მოგეწონებათ თავიდანვე არჩეული შესამოწმებელი კომპლექტი, თქვენ უნდა მოითხოვოთ სხვა კომპლექტი და თქვენი მოთხოვნა დაკმაყოფილდეს.

- 15 ▶ **კითხვა:** მე უნდა შევაცხოვინო ჩემს ექიმს, რომ როგორც სპორტსმენს, დოპინგის შემოწმება მექნება გასავლელი და ამიტომ არ უნდა გამოვიყენო აკრძალული ნივთიერებები.
პასუხი: სიმართლეს შეესაბამება
განმარტება: თქვენმა ექიმმა აუცილებლად უნდა იცოდეს, რომ თქვენ აკრძალული ნივთიერებების მაგივრად, ალტერნატიული პრეპარატები უნდა გამოგენოთ. თუ ეს არ არის შესაძლებელი, მაშინ თქვენ წამლის მიღებამდე უნდა მოითხოვოთ თერაპიული გამოყენების გამონაკლისი (TUE) თქვენი საერთაშორისო ფედერაციის, ეროვნული მმართველი ორგანოს ან ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მეშვეობით. სასწრაფო შემთხვევის დროს არსებობს პროცედურა, რომლის შესახებაც თქვენს ექიმს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია.
-
- 16 ▶ **კითხვა:** თუ თქვენ არ შეგიძლიათ საჭირო რაოდენობის შარდით უზრუნველყოფა, თქვენ შარდის ანალიზის გარდა სისხლის ანალიზის ჩაბარებასაც მოგთხოვენ?
პასუხი: არ შეესაბამება სიმართლეს
განმარტება: თუ თქვენ არ შეგიძლიათ უზრუნველყოთ საჭირო შარდის რაოდენობა, თქვენი ნაწილობრივი სინჯი დაილუქება და დარეგისტრირდება და როდესაც მზად იქნებით თქვენ უზრუნველყოთ დანარჩენ სინჯს მანამ, სანამ საჭირო რაოდენობა არ შეგროვდება.
-
- 17 ▶ **კითხვა:** შეიძლება წამლის მიღება სანდო პიროვნებისგან, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არ იცით წამლის შემცველობა?
პასუხი: არ შეესაბამება სიმართლეს
განმარტება: სპორტსმენებმა ყოველთვის უნდა იცოდნენ, თუ რა შედის თავიანთ ორგანიზმში. წამლის მიღებამ, შემცველობის არცოდნის გარეშე, შეიძლება დადებითი დოპინგ ტესტი გამოიწვიოს და თქვენს ჯანმრთელობასაც აავნოს.
-
- 18 ▶ **კითხვა:** თუ დოპინგ კონტროლის ოფიცერი მოდის თქვენთან სახლში არასაშეჯიბრო პერიოდში შემოწმების ჩასატარებლად, შეიძლება რომ თქვენ ოთახი მართომ დატოვოთ ჩაის მოსადუღებლად ან საქმეზე გასასვლელად?
პასუხი: არ შეესაბამება სიმართლეს
განმარტება: აუცილებელია, რომ დაიცვათ თქვენი სინჯის სისუფთავე და შემოწმების დამთავრებამდე ყოველთვის იყოთ დოპინგ კონტროლის ოფიცერის მხედველობის არეში. თუ თქვენ ოთახის დატოვება გჭირდებათ, შეატყობინეთ დოპინგ კონტროლის ოფიცერს და ის თქვენ გამოგყვებათ.
-
- 19 ▶ **კითხვა:** თუ ერთ კვირას უკვე ჩამიტარდათ არასაშეჯიბრო ტესტირება, მეორე ტესტამდე შუალედი რამოდენიმე კვირა მექნება?
პასუხი: არ შეესაბამება სიმართლეს
განმარტება: შეიძლება თქვენს შემდგომ ტესტამდე რამოდენიმე კვირა იყოს ან შეიძლება მხოლოდ რამოდენიმე დღე ან თუნდაც საათი. არსებობს მოკლე პერიოდში ერთზე მეტი შემოწმების ჩატარების სარგებელი, რადგანაც იგი თაღლითებს აჩერებს იმის შეგრძნებისგან, რომ მათ „უსაფრთხოდ“ შეუძლიათ თაღლითობის გაგრძელება.
-
- 20 ▶ **კითხვა:** თუ დოპინგ კონტროლის ოფიცერს (DCO) არა აქვს არანაირი პირადობის დამადასტურებელი მონიშვნა, შეიძლება მე უარი ვთქვა შემოწმებაზე?
პასუხი: სიმართლეს შეესაბამება
განმარტება: დოპინგი კონტროლის ოფიცერს უნდა შეეძლოს იმის დამტკიცება, რომ მას შემოწმების ჩატარების უფლება აქვს და რომ იგი ეკუთვნის სინჯის აღებისთვის უფლებამოსილ ორგანიზაციას. თუ იგი ამის დამტკიცებას ვერ შეძლებს, განმარტეთ ეს შეტყობინების ფორმაზე, მოანერეთ მას ხელი, შეინახეთ თქვენი ასლი და სასწრაფოდ დაუკავშირდით თქვენს ფედერაციას.
-
- 21 ▶ **კითხვა:** ცნობილია თუ არა იმ ადამიანისთვის, რომელიც ჩემს სინჯს ლაბორატორიაში იბარებს, ჩემი ვინაობა?
პასუხი: არ შეესაბამება სიმართლეს
განმარტება: დოკუმენტები, რომლებიც თქვენს სინჯს თან ახლავს ლაბორატორიაში, არ ამჟღავნებს თქვენს ვინაობას. ერთადერთი ინფორმაცია, რომელსაც ლაბორატორია იღებს, წარმოადგენს სპორტს/სპორტის სახეობას/სქესს/ფედერაციას და შემოწმების თარიღს.

- 22 ▶ კითხვა:** პროგრამა “TUE” სპორტსმენებს საშუალებას აძლევს მოითხოვონ სერიოზული დაავადების მკურნალობა აკრძალული ნივთიერების გამოყენებით. TUE ნიშნავს:
პასუხი: a. თერაპიული გამოყენების გამონაკლისს
განმარტება: საერთაშორისო დონის სპორტსმენებმა უნდა ჩააბარონ თერაპიული გამოყენების გამონაკლისის გაკეთების შესახებ მოთხოვნა (TUE) საერთაშორისო ფედერაციაში და ეროვნული დონის სპორტსმენებმა უნდა ჩააბარონ ფორმები ეროვნულ ანტი-დოპინგურ ორგანიზაციაში. თერაპიული გამოყენებისთვის გამონაკლისი (TUE) მტკიცდება მხოლოდ კონკრეტული პრეპარატისთვის განსაზღვრული დოზირებით და კონკრეტულ დროის პერიოდში მისაღებად.
-
- 23 ▶ კითხვა:** აკრძალული ნივთიერებების სიაში ჩამოთვლილია თუ რა ნივთიერებები და მეთოდებია აკრძალული შეჯიბრის დროს და არასაშეჯიბრო პერიოდში.
პასუხი: სიმართლეს შეესაბამება
განმარტება: აკრძალული ნივთიერებების სია წელიწადში ერთხელ საერთაშორისო ექსპერტების კომისიის მიერ განიხილება და განახლებული ვერსია ძალაში შედის ყოველი წლის 1 იანვარს. ყველა სპორტსმენს უნდა ჰქონდეს უახლესი ინფორმაცია აკრძალული ნივთიერებების სიის შესახებ, რომელიც შეგიძლიათ მოიძიოთ მსოფლიო ანტი-დოპინგის სააგენტოს (WADA-ს) ვებ-გვერდზე - www.wada-ama.org
-
- 24 ▶ კითხვა:** მე თუ დავშავდი და არ ვიღებ შეჯიბრში მონაწილეობას, მაინც საჭიროა ჩემი ადგილსამყოფელის შესახებ ფორმის შევსება შესაბამის სპორტულ უწყებებში იმ შემთხვევაში, თუ მათ დოპინგის შესამოწმებლად ჩემი პოვნა სჭირდებათ?
პასუხი: სიმართლეს შეესაბამება
განმარტება: როგორც სპორტსმენმა, თქვენ უნდა შეიტანოთ თქვენს ადგილსამყოფელზე ინფორმაცია იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ არ იღებთ შეჯიბრში მონაწილეობას დაზიანების ან ავადმყოფობის გამო. ამას აკეთებთ იმისათვის, რომ ანტი-დოპინგურმა ორგანიზაციამ შეძლოს თქვენი პოვნა ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილზე.
-
- 25 ▶ კითხვა:** მე შეიძლება ჩამიტარდეს დოპინგზე შემოწმება შეჯიბრის დროს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ ვიღებ შეჯიბრში მონაწილეობას.
პასუხი: სიმართლეს შეესაბამება
განმარტება: თუ თქვენ ხართ გუნდის წევრი, თქვენ შეიძლება შეჯიბრში მონაწილეობის მიღების მიუხედავად, დოპინგის შემოწმებისთვის შეგარჩიონ.
-
- 26 ▶ კითხვა:** იმ შემთხვევაში, თუ თქვენ აკრძალულ ნივთიერებაზე შემოწმებისას დადებითი შედეგი გექნებათ, თქვენ უფლება გაქვთ, რომ:
a. მოითხოვოთ ბ სინჯის ანალიზი
b. დაესწროთ ან წარმოდგენილი იყოთ ბ სინჯის გახსნაზე და ანალიზის დროს
c. მოითხოვოთ ლაბორატორიის დოკუმენტაციის პაკეტის ასლები
d. ყველა ზემოთ აღნიშნული პუნქტი
პასუხი: d. ყველა ზემოთ აღნიშნული პუნქტი
განმარტება: მსოფლიო ანტი-დოპინგის კოდექსი გამიზნულია იმისთვის, რომ პატივი სცეს სპორტსმენის უფლებებს.
-
- 27 ▶ კითხვა:** რა სიხშირით ხდება აკრძალული ნივთიერებების სიის განახლება?
a. თვეში ერთხელ
b. წელიწადში ერთხელ
c. ყოველ ოლიმპიურ და პარაოლიმპიურ თამაშებამდე
d. მისი განახლება არასოდეს არ ხდება
პასუხი: b. წელიწადში ერთხელ
განმარტება: აკრძალული ნივთიერებების სია მონმდება წელიწადში ერთხელ საერთაშორისო ექსპერტების კომისიის მიერ და განახლებული ვერსია ძალაში შედის ყოველი წლის 1 იანვარს. ყველა სპორტსმენმა უნდა იცოდეს ახალ სიასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც შეგიძლიათ მსოფლიო ანტი-დოპინგის სააგენტოს (WADA-ს) ვებ-გვერდზე იხილოთ – www.wada-ama.org

- 28 ▶ კითხვა:** როდესაც ვიღებ შტეკობინებას დოპინგ კონტროლის შესახებ, საჭიროა თუ არა მაშინვე გამოვცხადდე დოპინგ კონტროლის სადგურზე?
- a. დიახ
 - b. არა-მე მაქვს ერთი საათი დრო
 - c. მე შემძლია გამოვცხადდე, როდესაც ვიქნები მზად
 - d. არა-მე მაქვს 24 საათი დრო
- პასუხი:** a. დიახ
- განმარტება:** როდესაც თქვენ იღებთ შტეკობინებას დოპინგ კონტროლის ოფიცრის ან ჩაპერონისგან, რომ შერჩეული ხართ დოპინგ კონტროლისთვის, თქვენ დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდეთ დოპინგ კონტროლის სადგურზე, თუ არ არსებობს დაგვიანების ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზი. თუნდაც გამართლებული დაგვიანების შემთხვევაში თქვენ უნდა რჩებოდეთ დოპინგ კონტროლის ოფიცრის ან ჩაპერონის პირდაპირი მეთვალყურეობის ქვეშ მანამ სანამ არ დასრულდება სინჯის ჩაბარების პროცესი.
-
- 29 ▶ კითხვა:** თუ მე აკრძალული მაქვს ჩემი სპორტის სახეობის შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება, მე შემძლია მონაწილეობა მივიღო სხვა სპორტის სახეობაში
- პასუხი:** არ შეესაბამება სიმართლეს
- განმარტება:** თუ თქვენ დაგეგმავთ სანქცია ანტი-დოპინგური წესის დარღვევის შედეგად თქვენ არ შეგიძლიათ მიიღოთ მონაწილეობა ნებისმიერი სახის სპორტულ ღონისძიებაში თქვენი დისკვალიფიკაციის პერიოდის განმავლობაში.
-
- 30 ▶ კითხვა:** თუ ჩემი სინჯი აღმოჩნდა პოზიტიური ჩემს ქვეყანაში, მე შემძლია შეჯიბრებაში მონაწილეობა მივიღო სხვა ქვეყნის სახელით.
- პასუხი:** არ შეესაბამება სიმართლეს
- განმარტება:** თუ თქვენ დაარღვიეთ ანტი-დოპინგური წესი თქვენს ქვეყანაში, ეს დარღვევა აღიარებული იქნება მსოფლიო ანტი-დოპინგური სააგენტოს კოდექსის ყველა სხვა ხელმომწერის მიერ. ამიტომ თქვენი დისკვალიფიკაციის პერიოდში თქვენ ვერ შეძლებთ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღებას სხვა ქვეყნის სახელით.
-
- 31 ▶ კითხვა:** თუ მე მოვიხმარ საკვებ დანამატს, რომელიც დაბინძურებულია აკრძალული ნივთიერებით, ჩაითვლება თუ არა ეს ანტი-დოპინგური წესის დარღვევად?
- პასუხი:** დიახ
- განმარტება:** მკაცრი პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამომდინარე სპორტსმენი აგებს პასუხს მის სხეულში ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების აღმოჩენის შემთხვევაში. პოტენციური ანტი-დოპინგური წესის დარღვევას ეწება ადგილი იმ შემთხვევაშიც იყო თუ არა გამიზნულად გამოყენებული აკრძალული ნივთიერება ან როგორია თქვენი სიფრთხილის დონე! ყოველთვის იყავით ფრთხილად ნებისმიერი ნივთიერების, საკვების (განსაკუთრებით ზოგიერთ ქვეყანაში ხორცის), ან საკვები დანამატის მიღებისას.
-
- 32 ▶ კითხვა:** ვინ საზღვრავს, ამტკიცებს ან უარყოფს, თქვენი თერაპიული გამოყენების გამონაკლისი გაძლევა თუ არა უფლებას გამოიყენოთ აკრძალული ნივთიერება სამედიცინო საჭიროებისთვის?
- a. სპორტსმენთა კომიტეტი
 - b. პროფესიონალების ჯგუფი, რომელიც მუშაობს ეროვნულ/საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებში
 - c. სამედიცინო ექსპერტების კომიტეტი
 - d. ეროვნული ან საერთაშორისო სპორტული ფედერაციის პრეზიდენტი
- პასუხი:** c. სამედიცინო ექსპერტების კომიტეტი
- განმარტება:** მას შემდეგ, რაც თქვენი თერაპიული გამოყენების გამონაკლისი (TUE) წარედგინება თქვენს შესაბამის ანტი-დოპინგურ ორგანიზაციას (საერთაშორისო ფედერაციას ან ეროვნულ ანტი-დოპინგურ ორგანიზაციას და/ან მნიშვნელოვანი ღონისძიების ორგანიზატორები), მოხდება მისი სათანადოდ განხილვა დამოუკიდებელ ექიმთა საბჭოს მიერ, რომელსაც ენობდება თერაპიული გამოყენების გამონაკლისის კომიტეტი. საერთაშორისო ფედერაციები, ეროვნული ანტი-დოპინგური ორგანიზაციები და მნიშვნელოვანი ღონისძიების ორგანიზატორები, თავიანთი თერაპიული გამოყენების გამონაკლისის კომიტეტების საშუალებით არიან პასუხისმგებელი აღიარონ ან უარყონ თქვენი განცხადება.

- 33 ▶ კითხვა:** თუ მე მინდა, რომ პატივი ვცე შენს სპორტის სახეობას და ვიყო საუკეთესო სპორტსმენი, მე მჭირდება:
- ვიცოდე, რომ გამარჯვება ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი
 - გავაკეთო ყველაფერი წარმატებისთვის
 - ვიცოდე, რომ მარცხი ნიშნავს მე გავაკეთე რაღაც არასწორად
 - არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი
- პასუხი:** d. არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი
- განმარტება:** საუკეთესო სპორტსმენი, რომ გახდეს საჭიროა მძიმე შრომა, საქმისადმი თავდადება და სწავლა. მიუხედავად ამის, გამარჯვება ყველაფრის ფასად, როდესაც ანგარიშს არ უწევს საკუთარ ჯანმრთელობას, კონკურენტებს ან წესებს, ენინააღმდეგება სპორტულ სულისკვეთებას.
-
- 34 ▶ კითხვა:** სპორტსმენი, რომელიც იღებს დოპინგს, თაღლითობს, სუფთა სპორტი ყველა სპორტსმენის უფლებაა.
- პასუხი:** სიმართლეს შეესაბამება
- განმარტება:** როდესაც სპორტსმენი თაღლითობს, იგი გამოდის თამაშიდან, წყვეტს შეჯიბრებას სპორტული სულისკვეთების თვალსაზრისით და უკვე აღარ არსებობს სამართლიანი კონკურენცია. აგრეთვე ანტი-დოპინგური წესების დარღვევა იგივეა რაც შეჯიბრების წესების დარღვევა, რომელსაც ყველა სპორტსმენი უნდა აღიარებდეს, როგორც სამართლიანი შეჯიბრების პირობებს.
-
- 35 ▶ კითხვა:** ვინ არის უფლებამოსილი ჩაატაროს სისხლის აღების სინჯი?
- კვალიფიციური სისხლის აღებაზე პასუხისმგებელი ოფიცერი
 - კვალიფიციური დოპინგ კონტროლის ოფიცერი
 - კვალიფიციური ჩაპერონი
 - ყველა ზემოთ აღნიშნული პუნქტი
- პასუხი:** a. კვალიფიციური სისხლის აღებაზე პასუხისმგებელი ოფიცერი
- განმარტება:** სისხლის აღებაზე პასუხისმგებელი ოფიცერი არის პირი, რომელიც არის კვალიფიციური და მინიჭებული აქვს უფლებამოსილება ანტი-დოპინგური ორგანიზაციის მიერ, რათა სპორტსმენს აუღოს სისხლის სინჯი.
-
- 36 ▶ კითხვა:** სინჯის (სისხლის და/ან შარდის) ჩაბარების შემდგომ რამდენი ხანი ინახება იგი და შესაძლებელია განმეორებითი ანალიზის ჩატარება?
- განუსაზღვრელი პერიოდი
 - 10 წელი
 - 2 წელი
 - იგი არ შეიძლება რომ ინახებდეს
- პასუხი:** b. 10 წელი
- განმარტება:** ყველა სინჯი შეიძლება შეინახოს 10 წლამდე ვადით და ჩაუტარდეს განმეორებითი ანალიზი ამ პერიოდის განმავლობაში, რაც ნიშნავს იმას, რომ ნივთიერებები, რომლებიც არ აღმოჩნდნენ პირველი ანალიზის დროს შესაძლებელია გამოვლენილნი იქნან მოგვიანებით და სპორტსმენები შეიძლება სანქცირებულნი იყვნენ და მოხდეს მათი შედეგების დისკვალიფიკაცია ტესტირების პირვანდელი თარიღის მიღმა.
-
- 37 ▶ კითხვა:** ტესტის დადებითი შედეგი არის ერთადერთი საშუალება, რომ მოხდეს სპორტსმენის სანქცირება
- პასუხი:** არ შეესაბამება სიმართლეს
- განმარტება:** სპორტსმენის სინჯში აკრძალული ნივთიერების არსებობა არის 11 ანტი-დოპინგური წესების დარღვევიდან ერთ-ერთი. სინჯის აღებაზე უარის თქმა ან სინჯის აღების პროცესის ჩაგდება, აკრძალული ნივთიერებების შენახვა, თანამონაწილეობა, და აკრძალული ურთიერთობები შეიძლება იყოს სპორტსმენის მიერ ანტი-დოპინგური წესების დარღვევის მიზეზი.
-
- 38 ▶ კითხვა:** მე შეიძლება მომენიჭოს სანქცია თუ მექნება ურთიერთობა მწვრთნელთან, ექიმთან ან სხვა დამხმარე პერსონალთან, რომლებიც ანტი-დოპინგური წესების დარღვევის გამო არიან დისკვალიფიცირებულნი.
- პასუხი:** სიმართლეს შეესაბამება
- განმარტება:** აკრძალული ურთიერთობები წარმოადგენს ანტი-დოპინგური წესების დარღვევას, რომლის გამოც სპორტსმენებს შეიძლება მიენიჭოს სანქცია.

- 39 ► **კითხვა:** თუ მე ვიცი, რომ საკვებმა დანამატმა გაიარა კვალიფიციური კონტროლი, მე შემიძლია ვიყო დარწმუნებული, რომ იგი არ შეიცავს რომელიმე ნივთიერებას აკრძალული სიიდან.
- პასუხი:** არ შეესაბამება სიმართლეს
- განმარტება:** არ არსებობს გარანტია იმისა, რომ საკვები დანამატი იქნება სუფთა აკრძალული ნივთიერებებისგან, რადგანაც მისი ინდუსტრია არ რეგულირდება კანონით. არც ერთ ორგანიზაციას არ შეუძლია მოგცეთ გარანტია საკვები დანამატის ან მისი შემადგენლობის უსაფრთხოების შესახებ. ბალანსირებული კვება, ნატურალური პროდუქტებით არის საუკეთესო გზა გაუმჯობესდეს სპორტსმენის შესაძლებლობები.
-